

უცხოური საწარმოს ფილიალი “ტაჰალ გროუპ ზ. ვ. საქართველოს ფილიალი“

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგება

უცხოური საწარმოს ფილიალი “ტაჰალ გროუპ ზ. ვ. საქართველოს ფილიალი“

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	12
4. ძირითადი საშუალებები	14
5. არამატერიალური აქტივები	15
6. მარაგები	15
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15
8. ფული და ფულის ექვივალენტები	16
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
10. საგადასახადო ვალდებულებები	16
11. შემოსავალი	16
12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17
13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	17
14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	17
15. პირობითი ვალდებულებები	17
16. ბალანსის შემდგომი მოვლენები	18
17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	18

უცხოური საწარმოს ფილიალი “ტაჰალ გროუპ ბ. ვ. საქართველოს ფილიალი”
2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	Note	Ref	2022 Trial	2021 Trial	2020 Trial
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები		C.4	154,522	1,712,712	2,193,593
არამატერიალური აქტივები		C.4.1	5,885	11,770	13,847
სულ გრძელვადიანი აქტივები			160,407	1,724,482	2,207,440
მიმდინარე აქტივები					
მარაგები		C.3	1,487,700	7,036,614	5,242,805
საგადასახადო აქტივი			1,000,000	1,135,352	1,326,134
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		C.2	5,514,015	5,767,126	6,407,258
ფული და ფულის ეკვივალენტები		C.1	86,433	250,562	1,809,303
სულ მიმდინარე აქტივები			8,088,148	14,189,654	14,785,500
სულ აქტივები			8,248,555	15,914,135	16,992,940
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები					
საკუთარი კაპიტალი					
საწესდებო კაპიტალი		C.7	(3,377,518)		
დაგროვილი მოგება (ზარალი)			(7,314,675)	(3,377,518)	3,114,710
სულ საკუთარი კაპიტალი			(10,692,193)	(3,377,518)	3,114,710
გრძელვადიანი ვალდებულებები					
მიღებული სესხები				-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები				-	-
მიმდინარე ვალდებულებები					
მოკლევადიანი სესხები		C.5.1		-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		C.5	18,940,748	19,291,654	13,114,462
საგადასახადო ვალდებულებები		C.5		-	763,768
საგარანტიო ანარიცხები				-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები			18,940,748	19,291,654	13,878,230
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			8,248,555	15,914,135	16,992,940
			-	0	0

ფინანსური დირექტორი
მედეა გიგუაშვილი
26.10.2023, თბილისი



უცხოური საწარმოს ფილიალი “ტაჰალ გროუპ ბ. ვ. საქართველოს ფილიალი”
2022 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
სრული შემოსავლის ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	Note	Ref	2022 Trial	2021 Trial	2020 Trial
შემოსავალი	13	C8	490,393	7,163,460	10,834,405
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14		-5,913,331	(9,110,454)	(10,846,121)
საერთო მოგება			(5,422,938)	(1,946,994)	(11,716)
სხვა შემოსავალი	15	C8.1		-	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	C9	(1,046,782)	(872,508)	(474,994)
მიწოდების ხარჯები	17	C9			-
საგარანტიო ხარჯები		C9.2			-
მარაგების გაუფასურების ხარჯი		C.2			-
საოპერაციო მოგება / (ზარალი)			(6,469,720)	(2,819,502)	(486,710)
საპროცენტო ხარჯი, ნეტო					
წმინდა მოგება/(ზარალი) საკუთსო სხვაობიდან				-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები				147,805	827,751
სხვა არასაოპერაციო ხარჯები			(844,955)	(3,752,623)	(315,744)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე			(7,314,675)	(6,424,320)	25,296
მოგების გადასახადის ხარჯი					
წმინდა მოგება/(ზარალი)			(7,314,675)	(6,424,320)	25,296
სხვა სრული შემოსავალი					
სრული შემოსავალი/(ზარალი)			(7,314,675)	(6,424,320)	25,296

ფინანსური დირექტორი
მედეა გიგუაშვილი
26.10.2023, თბილისი

უცხოური საწარმოს ფილიალი "ტაჰალ გროუპ ბ. ვ. საქართველოს ფილიალი"
2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

გაუნაწილებელი მოგება	4,338,275	4,338,275	
კორექტირება წინა პერიოდის	(1,248,861)	(1,248,861)	
სრული შემოსავალი/ზარალი	25,296	-	25,296
დამფუძნებლების შენატანები კაპიტალში	-	-	-
31 დეკემბერი 2020	25,296	3,089,414	3,114,710
გაუნაწილებელი მოგება	3,114,710	3,114,710	
კორექტირება წინა პერიოდის	(67,908)	(67,908)	
სრული შემოსავალი/ზარალი	-	(6,424,320)	(6,424,320)
დამფუძნებლების შენატანები კაპიტალში	-	-	-
31 დეკემბერი 2021	-	(3,377,518)	(3,377,518)
გაუნაწილებელი მოგება	(3,377,518)	(3,377,518)	
კორექტირება წინა პერიოდის			-
სრული შემოსავალი/ზარალი	(7,314,675)	-	(7,314,675)
დამფუძნებლების შენატანები კაპიტალში	-	-	-
31 დეკემბერი 2022	(7,314,675)	(3,377,518)	(10,692,193)

ფინანსური დირექტორი
მედეა გიგუაშვილი
26.10.2023, თბილისი

**უცხოური საწარმოს ფილიალი “ტაჰალ გროუპ ბ. ვ. საქართველოს ფილიალი”
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2,022 €	2,021 €	2,020 €
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე	(7,314,675)	(6,424,320)	25,296
კორექტირებები:	-	-	-
ცვეთა და ამორტიზაცია	839,896	555,618	391,722
მს.-ის ჩამოწერა	-	-	-
მარაგების გაუფასურება	-	-	-
საგარანტიო ანარიცხები	-	-	-
ფინანსური ხარჯები	-	-	-
წმინდა (მოგება)/ზარალი საკუროს სხვაობიდან	844,955	3,604,818	(512,007)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(5,629,824)	(2,263,885)	(94,988)
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე			
მარაგების (ზრდა)/შემცირება	5,548,914	(1,793,809)	741,475
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	253,111	640,133	(956,859)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(350,906)	6,177,192	1,247,065
საგადასახადო აქტივის ზრდა/(შემცირება)	135,352	190,782	91,744
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	-	(763,768)	763,768
ანარიცხების შემცირება	-	-	-
გადახდილი პროცენტები	-	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(43,353)	2,186,645	1,792,204
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ბირთიანი საშუალებების შეძენა	1,558,190	(65,504)	(321,275)
არამატერიალური აქტივების შეძენა	5,885	(7,156)	0
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	1,564,075	(72,660)	(321,275)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
კაპიტალის ცვლილება	-	(67,908)	(1,248,861)
დამფუძნებლის ფულადი შენატანი	-	-	-
სესხის აღება	-	-	-
სესხის გადახდა	-	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-	(67,908)	(1,248,861)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	1,520,722	2,046,077	222,068
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	250,562	1,809,303	1,078,812
საკუროს სხვაობის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტზე	(1,684,851)	(3,604,818)	508,423
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	86,433	250,562	1,809,303
	86,433 €	250,562 €	1,809,303 €
CHECK	0 €	(0) €	(0) €



ფინანსური დირექტორი
მედეა გიგუაშვილი
26.10.2023, თბილისი

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

უცხოური საწარმოს ფილიალი “ტაჰალ გროუპ ბ. ვ. საქართველოს ფილიალი” წარმოადგენს 2018 წლის 30 იანვარს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ უცხოური საწარმოს ფილიალს, რომლის ძირითადი საქმიანობაა საინჟინრო მშენებლობა, სოფლის მეურნეობის პროექტები, ნარჩენების გადამუშავების პროექტები და ა. შ.

კომპანიას მოგებული აქვს შპს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ტენდერი - ქალაქ ფოთში წყალარინების სისტემის მშენებლობის პროექტი. 2018 წლის განმავლობაში და ანგარიშგების გამოცემამდე კომპანიის საქმიანობა ხორციელდება აღნიშნული პროექტის ფარგლებში.

2022 წლის აპრილის თვეში შპს გაერთიანებულ წყალმომარაგებასა და ტაჰალს შორის შეწყდა ხელშეკრულება და ამ პერიოდის შემდგომ კომპანია არ ახორციელებს დღემდე საოპერაციო საქმიანობებს.

საწარმოს დამფუძნებელია: 20067183, კერძო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიასთან გათანაბრებული Tahal Group B.V. 21.10.1992.

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია დირექტორი:

- **დირექტორი - მედეა გიგუაშვილი, 31001040576, საქართველო**

მარეგისტრირებელი ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, კოსტა ხეთაგუროვის ქუჩა, N6.

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 წარდგენის საფუძველი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2.2 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2022 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

აშშ დოლარი

ევრო

2022 წლის 31 დეკემბრისთვის

2.7020

2.3 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

უცხოური საწარმოს ფილიალი “ტაჰალ გროუპ ბ. ვ. საქართველოს ფილიალი” ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
შენობა-ნაგებობები	10 წელი
საოფისე აღჭურვილობა	2-5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-5 წელი
მანქანა-დანადგარები	5-10 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.4 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 5-7 წლით.

კომპანიის არამატერიალური აქტივი წარმოადგენს სააღრიცხვო პროგრამებს და კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიებს.

2.5 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

2.6 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

2.7 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

2.8 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების)

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.
საწარმო მარაგის ჩამოწერას საშუალო შეწონილი მეთოდით.

2.9 შემოსავალი

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა

კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

სამშენებლო ხელშეკრულებები

თუ შესაძლებელია სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასება, კომპანია სამშენებლო ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ამონაგებს და დანახარჯებს აღიარებს სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

2.10 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

კომპანია ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

2.11 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება, და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანიას მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი. კომპანიას სჯერა, რომ ყველა აუდირებული პერიოდისთვის მის მიერ დარიცხული საგადასახადო ვალდებულებები ეფუძნება მრავალ ფაქტორს, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და საგადასახადო კანონმდებლობას. ეს განსაზღვრება ეფუძნება შეფასებებსა და დაშვებებს, და შეიძლება მოიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალი მოვლენების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო საგადასახადო შედეგი განსხვავებული იქნება დარიცხული თანხებისგან, სხვაობები გავლენას მოახდენს იმ პერიოდის ანგარიშგებაზე, რა პერიოდშიც ეს გახდება ცნობილი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

*უცხოური საწარმოს ფილიალი “ტაჰალ გროუპ ბ. ვ. საქართველოს ფილიალი”
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები*

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

უცხოური საწარმოს ფილიალი “ტაჰალ გროუპ ზ.გ. საქართველოს ფილიალი”
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ძირითადი საშუალებები					
	შენიშვნა-ნაგებობა	ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
შემოსვლა	-	64,641	1,231,194	153,630	1,449,465
გასვლა	-	-	-	-	-
დასაშვები ღირებულება 31.12.2019	197,854	309,877	1,518,066	630,287	2,656,084
შემოსვლა	-	20,650	300,625	-	321,275
გასვლა	-	-	-	-	-
დასაშვები ღირებულება 31.12.2020	197,854	330,528	1,818,691	630,287	2,977,359
შემოსვლა	-	1,470	401,320	22,617	425,407
გასვლა	197,854	16,081	-	342,942	556,876
დასაშვები ღირებულება 31.12.2021	-	315,916	2,220,010	309,962	2,845,889
შემოსვლა	-	-	-	-	-
გასვლა	-	165,916	1,381,477	309,962	1,857,356
დასაშვები ღირებულება 31.12.2022	-	150,000	838,533	-	988,533
ცვეთა	(18,638)	(56,329)	(172,461)	(77,246)	(324,674)
გასულების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2019	(30,111)	(71,733)	(177,630)	(115,013)	(394,487)
ცვეთა	(16,774)	(49,529)	(245,684)	(77,291)	(389,279)
გასულების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2020	(46,885)	(121,263)	(423,314)	(192,304)	(783,766)
ცვეთა	-	(152,074)	(324,738)	(69,572)	(546,385)
გასულების დაგროვილი ცვეთა	(46,885)	(6,739)	-	(143,349)	(196,973)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2021	-	(266,598)	(748,052)	(118,527)	(1,133,177)
ცვეთა	-	(150,000)	(684,011)	-	(834,011)
გასულების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	-	(416,598)	(1,432,063)	(118,527)	(1,967,189)
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2020	150,969	209,265	1,395,377	437,983	2,193,593
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2021	-	49,318	1,471,959	191,435	1,712,712
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2022	-	-	154,522	-	154,522

**უცხოური საწარმოს ფილიალი “ტაჰალ გროუპ ბ.ვ. საქართველოს ფილიალი”
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

არამატერიალური აქტივები	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
შემოსვლა	-	-
გასვლა	-	-
დასაშვები ღირებულება 31.12.2019	21,003	21,003
შემოსვლა	-	-
გასვლა	-	-
დასაშვები ღირებულება 31.12.2020	21,003	21,003
შემოსვლა	-	-
გასვლა	-	-
დასაშვები ღირებულება 31.12.2021	21,003	21,003
შემოსვლა	-	-
გასვლა	-	-
დასაშვები ღირებულება 31.12.2022	21,003	21,003
ცვეთა	(2,875)	(2,875)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2019	(4,712)	(4,712)
ცვეთა	(2,444)	(2,444)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2020	(7,156)	(7,156)
ცვეთა	(2,077)	(2,077)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2021	(9,233)	(9,233)
ცვეთა	(5,885)	(5,885)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	(15,118)	(15,118)
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2019	16,290	16,290
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2020	13,847	13,847
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2021	11,770	11,770
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2022	5,885	5,885

6. მარაგები

მარაგები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022
	1,487,700
სამშენებლო მასალები	
	1,487,700
სულ	

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022
ფინანსური მოთხოვნები	
	5,514,015
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	
არაფინანსური მოთხოვნები	
წინასწარ გაწეული ხარჯები	
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	
სულ	5,514,015

**უცხოური საწარმოს ფილიალი “ტაჰალ გროუპ ბ.ვ. საქართველოს ფილიალი”
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

8. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022
	86,433
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	
	86,433
სულ	

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022
ფინანსური ვალდებულებები	
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	2,772,245
არაფინანსური ვალდებულებები	16,168,503
ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების მიმართ	
მიღებული ავანსები	7 2768 82
სულ	19 291 653

10. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები მოიცავს ყველა გადასახადის წმინდა შედეგს წლის ბოლოს მდგომარეობით.

კომპანიას არ აქვს საგადასახადო ვალდებულება, აქვს მხოლოდ საგადასახადო ავანსი

11. შემოსავალი

შემოსავალი 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022
	490,393
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	
სულ	490,393

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:	
	2,022.00 €
ხელფასები	82,686
ცვეთა	839,896
კომუნალური ხარჯები	10,000
სხვა ხარჯი	5,000
ოფისის ხარჯები	3,500
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	30,000
საიჯარო ქირა	38,000
დაცვის ხარჯი	37,700
სულ	1,046,782

13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	5,913,331
სულ	5,913,331

14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები და ნაშთები არ უფიქსირდება.

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე არ მომხდარა შრომის ანაზღაურების გაცემა.

15. პირობითი ვალდებულებები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა,

**უცხოური საწარმოს ფილიალი “ტაჰალ გროუპ ბ.ვ. საქართველოს ფილიალი”
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულება არსებობს.

16. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მისი გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე, ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

2022 წლის აპრილის თვეში გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ მოხდა ხელშეკრულების შეწყვეტა, რომელიც ემსახურებოდა ძირითად საქმიანობას. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო მოხდა ჯარიმების დარიცხვა და აღნიშნული ჯარიმები ასახულია კაპიტალის ნაწილში ასევე.

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

უცხოური საწარმოს ფილიალი ტაჰალ გროუპ ბ.ვ. საქართველოს ფილიალის დირექტორმა უცხოური საწარმოს ფილიალი ტაჰალ გროუპ ბ.ვ. საქართველოს ფილიალის 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 26 ოქტომბერს.